ბრძანება:**ბ124. 124260374**
თარიღი:**06/02/2026**

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრების, რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების,85^4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტებისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2026 წლის 30 იანვრის #125-125260301 წერილისა და მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის ფუნქციების დროებით შემსრულებლის 2026 წლის 3 თებერვლის N 03-1242603412 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნეს

დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციები ამ ბრძანების №1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში;

2.მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათთვის კონსულტაციების გაწევა საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში;

3.თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს ამ ბრძანების №1 დანართის მიხედვით;

4.მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურში და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ყოველდღე, 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, 2026 წლის 4 მარტის ჩათვლით. აგრეთვე, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: Meria@tetritskaro.gov.ge;

5.დასახლებების საერთო კრებების სხდომების და რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა;

6.სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ:

-ლევანი ხმალაძე - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - ჯგუფის ხელმძღვანელი, ტელ: 551112111 levan.khmaladze@tetritskaro.gov.ge;

-ედუარდ სარქისიანი - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის ფუნქციების დროებითი შემსრულებელი - ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე, ტელ: 577953954, ელ.ფოსტა: zedamxedveli@yahoo.com;

-თეონა გულბიანი - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი - ჯგუფის წევრი, ტელ. 511228877, ელ.ფოსტა: teo.gulbiani1995@gmail.com);

-ნიკოლოზ სულხანიშვილი - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ინფრასტრუქტურის იერსახისა და სანებართვო პირობების მონიტორინგის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი - ჯგუფის წევრი, ტელ: 599253734 ელ-ფოსტა: n.sulkhanishvili@tetritskaro.gov.ge;

-ანზორ ღორჯომელაძე - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ჯგუფის წევრი;

-ზურაბ დალაქიშვილი - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - ჯგუფის წევრი;

-ნინო სარდლიშვილი - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი - ჯგუფის წევრი, ტელ: 598599471, ელ-ფოსტა: ninosardlishvili25@gmail.com;

-შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი;

7.დანართი წარმოადგენს ბრძანების განუყოფელ ნაწილს;

8.ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

9.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ.N11) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მიხეილ აფციაური

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი